ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №27

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „13" [illegible] 2011 წ.
ერთის მხრივ შ.პ.ს. „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი" მისამართი: ქ. თბილისი, ჭავთარაძის ქ. №21, სს „თიბისი ბანკი"-ს მარჯანიშვილის ფილიალი, ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგ№ GE38TB1100000360200864 ს/კ 204862372

(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ესაბი", მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 37დ, ს/ს „პროკრედიტბანკი", ა/№GE30PC0053600100013098, კოდი: MIBGGE22 ს/კ: 204378173
(შემდგომში „მიმწოდებელი")

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება გამარტივებულ შესყიდვაზე.

მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს „საქონელი" (სამუშაო ცენტრი XEROX3210 – 1 ცალი და უწყვეტი კვების წყარო TUNCMATIK 850 va ---2(ცალი) შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი საქონლის შესაბამის თანხაზე რომელიც შეადგენს 913 (ცხრაასცამეტი) ლარს, დდგ-ს ჩათვლით ქვემოთმოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

№	აღწერა	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ
1	სამუშაო ცენტრი XEROX3210	1	639,00	639,00
2	უწყვეტი კვების წყარო TUNCMATIK 850 va	2	137,00	274,00
	სულ:			913

წინამდებარე ხელშეკრულება აღასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

   ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
   ბ) ხელშეკრულების საერთო პირობები;
   გ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. ხელშეკრულება მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე

ხელშეკრულების საერთო პირობები

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ -- „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა საჭიროა პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ აფავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ, ადგილზე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 37დ

4.2 დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისას მითითებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

5, შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ დ.დ.გ.-ს ანგარიშფაქტურის გაფორმების შემდეგ.

5.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შესყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მისაღებით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში.

8. ანგარიშსწორების ვალუტა

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

9. ფასები

9.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დაუშვებელია

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არაფითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდეგრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. გამოყენებული სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველს აქვს უფლება განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, რასაც იგი ახორციელებს ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით, მისაწოდებელი ან მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხის და მიწოდების ვადების ხელშეკრულებას მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისა და მიმწოდებელთან ანგარიშწორების პროცესის რეგულირების მიზნით. შემსყიდველის მხრიდან ინპექტირებაზე პასუხისმგებელი პირია – ა. თურმანიძე და გ. შიუკაშვილი.

2. **საქონლის მიწოდების პირობები**

2.1. მიმწოდებელი საქონლის შეკვეთისას ახორციელებს საქონლის მიწოდებას ადგილზე, ოპერატიულად, 10 დღის ვადაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 37დ
2.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს მიმწოდებლის დ.ღ.გ.-ს ანგარიშ-ფაქტურები საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

2.3. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მიწოდებასთან.

2.5. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში

3. **გარანტია**

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას რომ მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს ერთ წელიწადს

4. **ანგარიშსწორება**

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: გადარიცხვა
4.2. ანგარიშსწორების ვადა: საქონლის მიღების შემდეგ გადარიცხვა 5 კალენდარული დღის განმავლობაში

5. **ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით.
5.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 20 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

„შემსყიდველი"

_____ თეიმურ[illegible]ბზიანიძე

გენერალური დირ[illegible]ორი

„მიმწოდებელი"

_____ ს. დარსაველიძე

დირექტორი